სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

15 აპრილი 2026

N 21/5059

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის **(საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის (WREP) საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტი)** ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ მიერ ა/წ 14 აპრილს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია **სკრინინგის განცხადება** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სკრინინგის განცხადება თანდართული დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/3a63c865-9896-4ea4-882b-f56e8f5e07b4. გთხოვთ, სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საკითხსა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოთ **2026 წლის 23 აპრილის ჩათვლით** მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112 თბილისი ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ **სკრინინგის განცხადებას** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ან/და აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 6 (ექვსი) ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/5059-21-2-202604151441

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE